ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქონების მართვის სააგენტო

საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა

ნომერი: 979

თარიღი: 29/11/2011 წ.

ეძლევა ვახტანგ მაღალთაძე 01030001383, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, ნიწოშვილის 63
(მესაკუთრე და მისი მისამართი)

მასზედ რომ მას გადაეცა საკუთრებაში შპს „თბილისის #22 ბავშვთა პოლიკლინიკის" (ს/კ 200006536) კაპიტალში წილის 100 % (ოქმით ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობით)
(ქონების დასახელება და მისამართი)

(ქონების რაოდენობრივი მაჩვენებელი: წილის ოდენობა; უძრავი ქონების ფართობი)

(საიდენტიფიკაციო მონაცემები: საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი; სარეგისტრაციო ნომერი)

საფუძველი აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი N: ე-66-1-3522

ოქმის (ხელშეკრულების) შედგენის თარიღი 17/11/2011

ელექტრონული საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობა წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს, თუ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა დოკუმენტის ნამდვილობა გადაამოწმოს აუქციონატორის ვებ გვერდის მეშვეობით. ელექტრონულ საკუთრების უფლების დამადასტურებელ მოწმობას აქვს იურიდიული ძალა აუქციონატორის ხელმოწერისა და ბეჭდის გარეშე. ელექტრონული საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია ვებ გვერდზე: www.iauction.ge / www.auction.tbilisi.gov.ge



ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქონების მართვის სააგენტო

საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა

ნომერი: 957

თარიღი: 28/11/2011 წ.

ეძლევა ვახტანგ მაღალთაძე 01030001383 მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, წინოშვილის 63
(მესაკუთრე და მისი მისამრთი)

მასზედ რომ მას გადაეცა საკუთრებაში ბუაჩიძის ქ. 12 -ში მდებარე მიწის ნაკვეთი და შენობა ნაგებობა #1-ში საერო ფართობით 547,67 კვმ (ოქმით ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობით)
(ქონების დასახელება და მისამრთი)

მიწის ნაკვეთის ფართობი 1889.00 კვ.მ
(ქონების რაოდენობრივი მაჩვენებელი: წილის ოდენობა; უძრავი ქონების ფართობი)

01.12.07.001.009
(საიდენტიფიკაციო მონაცემები: საკადასტრო/საიდენტიფიკაციო კოდი; სარეგისტრაციო ნომერი)

საფუძველი აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი N: ე-66-1-3522

ოქმის (ხელშეკრულების) შედგენის თარიღი 17/11/2011

ელექტრონული საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობა წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს, თუ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა დოკუმენტის ნამდვილობა გადაამოწმოს აუქციონატორის ვებ გვერდის მეშვეობით. ელექტრონულ საკუთრების უფლების დამადასტურებელ მოწმობას აქვს იურიდიული ძალა აუქციონატორის ხელმოწერისა და ბეჭდის გარეშე. ელექტრონული საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია ვებ გვერდზე: www.iauction.ge / www.auction.tbilisi.gov.ge

დაწართი

აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი
ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება)
პირობები

1.აუქციონის პირობები

1.1. გადახდის პირობები და წარმოსადგენი დოკუმენტაცია

ა) სააგენტოს მიერ აუქციონის ჩატარების მომსახურების საფასური უძრავი ქონების აუქციონში გამარჯვებული პირისთვის შეადგენს 250 ლარს, აღნიშნული თანხა გადაიხდება საპრივატიზებო თანხასთან ერთად. აუქციონზე შეძენილი უძრავი ქონების რეგისტრაციას ახორციელებს ქონების მართვის სააგენტო. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის საფასურს -50 ლარს ქონების მართვის სააგენტო იხდის მომსახურების საფასურიდან.

ბ) თუ ლოტში შედის რამდენიმე უძრავი ნივთი, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების აუქციონში გამარჯვებული ამ მუხლის 1.1 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფასურთან ერთად იხდის აუქციონის ჩატარების მომსახურების საფასურს – 100 ლარს, ყოველ დამატებით უძრავ ნივთზე.

გ) თუ აუქციონის გზით შეძენილი ლოტის სრული/საბოლოო ღირებულების გადასახდელად მყიდველს დასჭირდა 30 კალენდარულ დღეზე მეტი ვადა, მყიდველს შეუძლია ისარგებლოს განვადებით. განვადების საფასური შეადგენს ლოტის საწყისი ღირებულების 0,5% ყოველ დამატებით 30 კალენდარულ დღეზე. ქონების შემძენი არ იხდის განვადების პირველი 30 კალენდარული დღის საფასურს. საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის მისაღებად განვადების თანხის გადახდა ხორციელდება საპრივატიზაციო თანხასთან ერთად.

დ) თუ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული უცხო ქვეყნის მოქალაქეა, იგი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან ერთი თვის ვადაში აუქციონატორს წარუდგინოს უცხო ქვეყნის მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი, საჭიროების შემთხვევაში – წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი, სათანადო წესით დამოწმებული დოკუმენტაცია.

ე) აუქციონატორი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში აუქციონში გამარჯვებულ პირს აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში მოსთხოვოს აუქციონატორისთვის საჭირო ინფორმაციული ხასიათის ნებისმიერი სათანადო წესით დამოწმებული დოკუმენტის წარმოდგენა."

1.2 ქონების შემძენის პასუხისმგებლობა

ა) აუქციონის შედეგები ავტომატურად უქმდება და ქონების შემძენს გადახდილი ბე არ უბრუნდება ან კარგავს საბანკო გარანტიას თუ:

ა.ა) ქონების შემძენი ოქმით განსაზღვრულ ვადაში არ გადაიხდის სრულ/საბოლოო თანხასა და მომსახურების საფასურს;

ა.ბ) ქონების შემძენი არ შეასრულებს აუქციონის პირობებს, თუ პირობის შესრულება სავალდებულო იყო საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემამდე განსაზღვრულ ვადაში. აღნიშნული პუნქტი არ ვრცელდება წინამდებარე აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების) პირობების 1 მუხლის 1.1 პუნქტის დ) და ე) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისას წარმოსადგენ დოკუმენტაციაზე. "

ა.გ) ქონების შემძენი არ ეთანხმება აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმს/აუქციონის შედეგებს;

ა.დ) ქონების შემძენის მიერ წარმოდგენილია არასწორი ან/და არამართლზომიერი ინფორმაცია, რის გამოც მას მიეცა აუქციონში გამარჯვების ან/და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ან/და სხვა სარგებლის მიღების შესაძლებლობა;

ბ) პირობებით გამოცხადებული აუქციონის შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია, შეძენილი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონება გამოიყენოს მოქმედი კანონმდებლობითა და ოქმით განსაზღვრული შეზღუდვების ან/და ვალდებულებების გათვალისწინებით (აუქციონის პირობები), ვალდებულებების შესრულებაზე აუქციონატორს დაუყოვნებლივ წარუდგინოს ინფორმაცია მოთხოვნილი ფორმით;

გ) ქონების შემძენს შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე, გამყიდველთან შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება გაცემული ქონება განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს იგი. ამასთან, იგი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობაზე და დაცვაზე.

დ) საკუთრების უფლების დადასტურების შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ქონების შემძენის მიერ პრივატიზებული ქონების გასხვისების ან სარგებლობის უფლებით გაცემის შემთხვევაში, ქონება ახალ მესაკუთრეზე/მოსარგებლეზე გადადის იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო ოქმით.

ე) ახალი მესაკუთრე ვალდებულია ქონების გასხვისების შესახებ აცნობოს აუქციონატორს იმ შემთხვევაში თუ ქონება აუქციონატორის მიერ გაყიდულია გარკვეული საპრივატიზებო პირობებით.;

ე.ა) შეძენილი ქონების სააუქციონო პირობებთან მიმართებაში ყოველი ახალი მესაკუთრე წარმოადგენს ქონების შემძენის უფლებამონაცვლეს.

ვ) ოქმით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება აუქციონატორის მიერ მათი დადასტურების მომენტიდან;

ზ) ოქმით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გარდა ამ პუნქტის "ა" პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ქონების მესაკუთრე იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლო განისაზღვრება ოქმით სააუქციონო პირობებიდან გამომდინარე. კერძოდ:

ზ.ა) საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში - დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ზ.ბ) ქონების შემძენის მიერ სხვა სააუქციონო და ოქმით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ლოტის საბოლოო/სრული საპრივატიზებო ღირებულების 0,05% ყოველ დარღვევაზე;

ზ.გ) წინამდებარე აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების) პირობების 1 მუხლის 1.1 პუნქტის დ) და ე) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისას წარმოსადგენი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულების დათქმულ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება ლოტის საბოლოო/სრული საპრივატიზებო ღირებულების 0,05%-ის ოდენობით. განმეორებით შემთხვევისას აუქციონატორი უფლებამოსილია გააუქმოს აუქციონის შედეგები რა შემთხვევაშიც ქონების შემძენს გადახდილი ბე არ დაუბრუნდება ან დაკარგავს საბანკო გარანტიას.

თ) ოქმით გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობის ან/და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობისას ქალაქ თბილისის მთავრობა უფლებამოსილია დაავალოს აუქციონატორს აუქციონის შედეგებისა (ოქმის) და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაუქმება ასეთ შემთხვევაში პრივატიზებული ქონება უბრუნდება

გამყიდველს, ქონების შემძენს არ უნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული დანახარჯები;

ი) ოქმით განსაზღვრული შეზღუდვები განიხილება როგორც შეძენილი ქონების შემდგომი განკარგვისა და განვითარებისთვის გასათვალისწინებელი პირობა, შესაბამისად შეზღუდვების შესრულების კონტროლი არ წარმოადგენს გამყიდველის ქონების პრივატიზებისგან გამომდინარე ინტერესს;

კ) პრივატიზებულ ობიექტზე ნებისმიერი ნებართვა, ლიცენზია გაიცემა ან/და სხვა ნებისმიერი საქმიანობა წარმოებს საპრივატიზებო შეზღუდვების გათვალისწინებით;

ლ) ქონების პრივატიზებისას მყიდველზე საკუთრების უფლება გადადის თანხის მთლიანად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის ან/და შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ;

მ) აუქციონში გამარჯვებულის მიერ სააუქციონო პირობ(ებ)ის შეუსრულებლობის გამო აუქციონის შედეგების გაუქმებისას, , აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია გადაიხადოს ქონების შეძენიდან შედეგების გაუქმებამდე გამოყენებული განვადების ორმაგი ოდენობა, შედეგების გაუქმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

ნ) თუ გამარჯვებული აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში წერილობით არ შეატყობინებს აუქციონატორს, ჩაითვლება რომ იგი ეთანხმება ოქმს და აუქციონის შედეგები არ ექვემდებარება წინამდებარე აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების) პირობების 1.2 პუნქტის „ა.გ" ქვეპუნქტის საფუძვლით ავტომატურად გაუქმებას.

ო) წინამდებარე ოქმთან (ადმინისტერაციულ დაპირებასთან) დაკავშირებული სადავო საკითხები განიხილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ქონების გამყიდველის უფლებამოვალეობები

ა)ქონების პრივატიზაციის შემდეგ ქონების გამყიდველი ვალდებულია:

ა.ა.) სათანადო პირობების არსებობისას გასცეს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა;

ა.ბ) ქონების მესაკუთრეს დაუდასტუროს სააუქციონო პირობის (ვალდებულების) შესრულება;

ა.გ) მიაწოდოს მესაკუთრეს პრივატიზებულ ქონებაზე მასთან არსებული ინფორმაცია;

ა.დ) დაიცვას და შეასრულოს ოქმითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ვალდებულებები.

ბ) ქონების გამყიდველი უფლებამოსილია:

ბ.ა) მოსთხოვოს ინფორმაცია მესაკუთრეს ვალდებულებების შესრულების შესახებ;

ბ.ბ) საჭიროების შემთხვევაში ვალდებულებების შესრულების პერიოდში დაათვალიეროს პრივატიზებული საინვესტიციო ობიექტი;

ბ.გ) ვალდებულებების შეუსრულებელობის შემთხვევაში მისცეს მესაკუთრეს გაფრთხილება;

ბ.დ) წინამდებარე აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების) პირობებით და თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს N9-63 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესით განსაზღვრულ შემთხვევაში განიხილოს აუქციონის შედეგებისა (ოქმის) და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაუქმების საკითხი;

ბ.ე) მესაკუთრეს შესთავაზოს დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის მისაღები ვადები და პირობები;

ბ.ვ) განიხილოს პრივატიზებული ქონების არასაფინანსო და არასაინვესტიციო ვალდებულებებისა და შეზღუდვების მოხსნის საკითხი;

ბ.ზ) ქონების მესაკუთრეს მოსთხოვოს ოქმით განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულება.

3. ვალდებულებათა შესრულება

ა) ვალდებულების შესრულების ან/და შესრულების მიღება ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით;

ბ) წინამდებარე აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირების) პირობების და თბილისის საკრებულოს 2010 წლის 27 აგვისტოს N9-63 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის მიზნებისთვის ფინანსური ვალდებულება (თანხის სრული/საბოლოო ოდენობის ან/და სხვა თანხის გადახდა) შესრულებულად ითვლება შესაბამის ანგარიშზე თანხის გადასარიცხად საგადახდო დავალების შედგენის ან/და სხვა სათანადო დოკუმენტურად დადასტურებული ქმედების განხორციელების დღიდან;

გ) ამ პუნქტის 'ბ' ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების საფუძველზე, აუქციონატორი ადასტურებს ვალდებულების შესრულებას/გასცემს საკუთრების დამადასტურებელ მოწმობას;

დ) საინვესტიციო ან/და სხვა ვალდებულებათა შესრულების შესახებ ქონების შემძენი ინფორმაციას, როგორც წესი, ადასტურებს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნით ან/და სხვა სათანადო დოკუმენტით;

ე) იმ შემთხვევაში თუ ვალდებულების შესრულების შესწავლა სცილდება სსიპ -ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაძლებლობების ფარგლებს ქონების შემძენი ვალდებულია წარმოადგინოს აუდიტორული/ექსპერტული დასკვნა.

4. აუქციონატორის დაპირება

ქონების შემძენის მიერ ოქმით განსაზღვრულ ვადაში შეძენილი ქონების საპრივატიზებო ღირებულებისა და მომსახურების საფასურის გადახდის შემთხვევაში აუქციონატორი-სსიპ - ქონების მართვის სააგენტო იღებს ვალდებულებას კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცეს საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობა.

7. დასკვნითი დებულებები

ა) ელექტრონული აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზების ელექტრონული ოქმი წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს, თუ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა დოკუმენტის ნამდვილობა გადაამოწმოს აუქციონატორის საიტის მეშვეობით;

ბ) ელექტრონულ ოქმს აქვს იურიდიული ძალა აუქციონატორის ხელმოწერისა და ბეჭდის გარეშე.

გ) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ან/და საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცნობის დღედ ჩაითვლება, შესაბამისად, ოქმის ან/და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის აუქციონატორის ინტერნეტსაიტზე განთავსების დღე.

დანართი

სარგებლობის პირობები

1.გადაწყვეტილების შესაბამისად გადაცემულ ქონებაზე (იჯარის) უფლება წარმოიშობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

2.1. სარგებლობის საფასურის გადახდის ვადა აითვლება გადაწყვეტილების გაცნობის მომენტიდან.

2.2. სარგებლობის საფასური გადაირიცხება მესაკუთრის მიერ, მესაკუთრის ოფიციალურ ვებ გვერდზე მითითებულ საბანკო ანგარიშზე:

2.3უძრავი ქონების გადაცემიდან წარმოშობილი ურთიერთობის განმავლობაში ეროვნული ვალუტის ინფლაციის შემთხვევაში, მესაკუთრე უფლებამოსილია გაზარდოს სარგებლობის საფასური შესაბამისი ოდენობით. ასევე ეკონომიკური პირობების ცვლილებების გათვალისწინებით, სარგებლობის საფასურის გადახედვა ურთიერთობის მონაწილეების მიერ შესაძლებელია შეთანხმების საფუძველზე, ან მესაკუთრე ამ პირობებით განსაზღვრული წესით ატყობინებს ქონების მიმღებს ახალ სარგებლობის საფასურის ოდენობას. წერილობითი შეტყობინებიდან ერთი თვის ვადაში შეთანხმების მიუღწევლობის და სარგებლობის პირობებში ცვლილების გაუფორმებლობის შეთხვევაში, მესაკუთრე უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს ურთიერთობა.

3. ქონების მიმღები პირი ვალდებულია მესაკუთრის პირველივე მოთხოვნისთანავე გაათავისუფლოს სარგებლობით გადაცემული ქონება 1 თვის ვადაში.

4. სარგებლობის საფასურის გადახდა ქონების მიმღებ პირს არ ათავისუფლებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადისა და კომუნალური მომსახურების გადასახადებისგან.

5. მესაკუთრე ადასტურებს, რომ თანახმაა ქონების მიმღებმა პირმა გამოიყენოს გადაცემული ქონება გადაწყვეტილებით გათვალისწინებული მიზნით. გაუთვალისწინებელი მიზნით ქონების გამოყენებისას ქონების მიმღები პირი ვალდებულია მიიღოს მესაკუთრის წინასწარი თანხმობა.

6. სარგებლობის უფლების ვადის გასვლის შემდგომ ქონების მიმღები პირი ვალდებულია ქონება დააბრუნოს და, მესაკუთრის მოთხოვნის შემთხვევაში, მოიყვანოს იგი პირვანდელ მდგომარეობაში.

7.1. ქონების მიმღები პირი ვალდებულია, გადაწყვეტილების გაცნობიდან 20 კალენდარული დღის ვადაში გადაწყვეტილება და სარგებლობის პირობები დაარეგისტრიროს შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში.

7.2. გადაწყვეტილებისა და სარგებლობის პირობების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურებას უზრუნველყოფს ქონების მიმღები პირი.

7.3. მესაკუთრე უფლებამოსილია ქონების მიმღები პირის ხარჯით თავად განახორციელოს გადაწყვეტილებისა და სარგებლობის პირობების რეგისტრაციისთვის საჭირო პროცედურები.

8.1. ქონების მიმღებ პირს უფლება არა აქვს, სარგებლობის უფლებით გადაცემული ქონება სარგებლობის უფლებით კვლავ გადასცეს (მათ შორის, გააქირაოს, ქვეიჯარის, თხოვების ფორმით გადასცეს) მესამე პირს ან სხვაგვარად დატვირთოს იგი მესაკუთრესთან შეუთანხმებლად. ამასთან, იგი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.

8.2. ქონების მიმღები ვალდებულია მისთვის გადაცემული ქონების გამოყენებისას დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, გადაწყვეტილებისა და სარგებლობის პირობები და მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ, მოთხოვნისთანავე, მესაკუთრის მიერ განსაზღვრულ ვადაში, წარუდგინოს ინფორმაცია მესაკუთრეს.

8.3. ამ პირობებისა და ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქონების მიმღებ პირს ამ პირობებით განსაზღვრული ფორმით ეძლევა გაფრთხილება, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა. პირგასამტეხლო განსაზღვრულია დანართით სარგებლობის პირობებიდან გამომდინარე.

8.4. გადაწყვეტილებისა და სარგებლობის პირობების შეუსრულებლობის (დარღვევის) განმეორებით გამოვლენის შემთხვევა და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა მესაკუთრის მიერ მიიჩნევა ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტის საფუძვლად. ქონების მიმღებ პირს არ უბრუნდება გადახდილი თანხა და არ უნაზღაურდება გაწეული ნებისმიერი სხვა ხარჯი. მესაკუთრე უფლებამოსილია, ასევე, მოითხოვოს ქონებისთვის მიყენებული და სხვა სახის ზიანის და/ან ზარალის ანაზღაურება.

8.5. ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში სარგებლობის უფლების მიმღებ პირს არ უბრუნდება შემოტანილი თანხა და არ უნაზღაურდება გაწეული ხარჯები.

9. ქონების მიმღები პირი ვალდებულია:

9.1. აცნობოს დაუყოვნებლივ მესაკუთრეს, თუ ქონებას აღმოაჩნდება ნაკლი;

9.2. მოთხოვნისთანავე მესაკუთრეს წარუდგინოს წერილობითი ინფორმაცია გადაწყვეტილებისა და სარგებლობის პირობებით და საქართველოს კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად;

9.3. ხელი შეუწყოს მესაკუთრეს, გადაწყვეტილებისა და სარგებლობის პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე დოკუმენტური და ვიზუალური მონიტორინგის განხორციელებაში;

9.4. ხელი შეუწყოს მესაკუთრეს, კანონმდებლობით, გადაწყვეტილებისა და სარგებლობის პირობებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებაში;

9.5. გადაწყვეტილებისა და სარგებლობის პირობებისდარღვევის შემთხვევაში ქონების მიმღებ პირს ეკისრება 10.1-10.3 პუნქტებით განსაზღვრული პირგასამტეხლო.

10.1. სარგებლობის საფასურის (ქირის) გადაუხდელობის ან გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლო განსაზღვრულია ქირის 0,1%-ის, მაგრამ არანაკლებ 1 (ერთი) ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.2. პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს მესაკუთრის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე:

10.3. გადაწყვეტილებისა და სარგებლობის პირობებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების (გარდაქირის გადახდასთან დაკავშირებული ვალდებულებებისა) დარღვევის შემთხვევაში, ქონების მიმღებ პირს ეკისრება პირგასამტეხლო 100 (ასი) ლარის ოდენობით.

11.1 ქონების გადაცემის შედეგად წარმოშობილი ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს:

11.1. მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით;

11.2. მესაკუთრის მიერ, ცალმხრივად: საიჯარო პირობების 2.3, და 8.4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის პირველივე შემთხვევაში;

11.3. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;

11.4. ქონების გადაცემის შედეგად წარმოშობილი ურთიერთობა შეწყვეტილად ითვლება სარგებლობის უფლების მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში;

12.1. ქონების გადაცემის შედეგად წარმოშობილი ურთიერთობა წყდება ქონების მიმღები პირის განცხადებისა და სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე, გარდა მესაკუთრის მიერ ურთიერთობის ცალმხრივად შეწყვეტისა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საკმარისია სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გამოცემული გადაწყვეტილება.

12.2.. ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება გადაწყვეტილებისა და სარგებლობის პირობებში შესაძლებელია განხორციელდეს მხარეთა შეთანხმებით – ქონების მიმღები პირის განცხადებისა და სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე;

12.3 სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გადაწყვეტილებისა და სარგებლობის პირობებში ცვლილების ინიცირების შემთხვევაში ქონების მიმღები პირის თანხმობა გამოიხატება აქტის გაცნობით;

12.4. გადაწყვეტილებისა და სარგებლობის პირობებში ცვლილებები და დამატებები საჯარო რეესტრში რეგისტრირდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

12.5. დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს.

13.1. ყველა შეტყობინება, მოთხოვნა ან სხვა სახის კორესპონდენცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, უნდა გაიგზავნოს პერსონალური გადაცემის გზით, წინასწარ გადახდილი დაზღვეული ფოსტით, საკურიერო სამსახურით ან ფაქსით, ასევე მესაკუთრის მიერ 13.3 პუნქტით გათვალისწინებული წესით შესაბამის მხარესთან მითითებულ მისამართზე:

13.2. მხარეები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს საკონტაქტო მონაცემების ნებისმიერი რეკვიზიტის ცვლილების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შეტყობინება ითვლება მიმღები მხარის მიერ მიღებულად მის მიერ მითითებულ უკანასკნელ მისამართზე გამგზავნი მხარის მიერ გაგზავნის შემთხვევაში.

13.3. მესაკუთრის მიერ ელექტრონულად (მათ შორის, ელექტრონული ფოსტით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით და სხვ.) ქონების მიმღები პირის მიერ მითითებულ მისამართზე გაგზავნილი შეტყობინება, მოთხოვნა და სხვა კორესპონდენცია ძალაშია ადრესატის შესაბამის მისამართზე (მათ შორის, ელექტრონულ ფოსტაზე) შეტყობინების ჩაბარების მომენტიდან.